

ქართველი მიგრანტები საფრანგეთში: ჯგუფის შიგნით (ინტრაჯგუფური) და ჯგუფთაშორის (ინტერჯგუფური) ურთიერთობების აღქმა და შეფასებები

ფირცხალავა ეკატერინე

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი, Ph.D

აბსტრაქტი:

ნაშრომში წარმოდგენილია მონაცემთა ანალიზი კვლევიდან, რომელიც საქართველოდან საფრანგეთში მიგრაციის შემდეგ ახალ სოციალურ გარემოში ქართველების ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესის შესაწავლას ეხება. საქართველოს მოსახლეობისთვის ევროპის ქვეყნები ემიგრაციისთვის მეტად პოპულარული ბოლო წლებში გახდა. მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD-2015) კვლევა აჩვენებს ქართველების შრომითი მიგრაციისთვის პოპულარულ დასავლეთის შემდეგ ქვეყნებს: საბერძნეთი, კვიპროსი, აშშ, გერმანია, ესპანეთი და იტალია. ამ ჩამონათვალში საფრანგეთი არ არის, მაგრამ საქართველოს მოქალაქეებისთვის საფრანგეთის სოციალური და ჯანდაცვის სიტემა განაპირობებს მათ არჩევანს. ეს თვისებრივი კვლევა აღწერს ახალ სოციალურ გარემოში ქართველთა ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესს. საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებთან სიღრმისეული ინტერვიუების დროს მიღებულ მასალებზე დაყრდნობით, გაანალიზებულია მათი ადაპტაციის პროცესის დინამიკა ახალ სოციალურ-კულტურულ სივრცეში; მათ მიერ აღქმული ჯგუფის შიგნით (ინტრაჯგუფური) და ჯგუფებს შორის (ინტერჯგუფური) ურთიერთობები. ქართველი ემიგრანტების სოციალური აღქმები, მიმღები ქვეყნის, მისი მოსახლეობის, ქართველებსა და ფრანგებს შორის მსგავსება და განსხვავების აღქმების და შეფასებების საფუძველზე კლსიფიცირებულია ხშირად გამოყენებული იდენტობის ტაქტიკები და სტრატეგიები

საკვანძო სიტყვები: მიგრაცია; საფრანგეთი; ინტრაჯგუფური ურთიერთობა; ინტერჯგუფური ურთიერთობა; იდენტობა

შესავალი

მიგრაცია 21-ე საუკუნის გლობალური ფენომენია (Harzig and Hoerder 2009), რომელიც მოიცავს, როგორც სოციალურ, ეკონომიკის, პოლიტიკის, ასევე კულტურისა და განათლების საკითხებს. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, მიგრაცია შესაძლებელია იყოს თავისუფალი ან იძულებითი; მიგრაციის დროს ხდება გადაადგილება ერთი ადგილიდან სხვა ადგილას, როგორც ადამიანთა ჯგუფების, ან თემების, ასევე ინდივიდუალურად ქალების, მამაკაცების, ბავშვების, ახალგაზრდების და ოჯახების ადგილის ცვლადობა (Castles and Miller 2009; Giugni and Passy 2006). საბჭოთა კავშირის დაშლამ დიდი მიგრაციული ცვლილებები გამოიწვია პოსტსაბჭოთა სივრცეში. როცა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები გახდნენ დამოუკიდებლები და განაცხადეს განზრახვა, გაერთიანებულიყვნენ დასავლურ დემოკრატიულ საზოგადოებასთან, ამ პერიოდიდან დაიწყო მასიური მიგრაცია საქართველოდან.

ეკონომიკურმა სირთულეებმა, მასიურად უმუშევრად დარჩენილმა საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა გადაწყვიტა საზღვარგარეთ გამგზავრება. მოგვიანებით ეკონომიკურ კრიზისს დაერთო პოლიტიკური დაძაბულობა და კონფლიქტი რუსეთთან, რასაც შემდეგში გაგრძელებად მოჰყვა მასიური მიგრაციული პროცესები საქართველოდან. მიგრაციის მოტივაცია განსხვავებულია ინდივიდუალური და ოჯახური მიგრაციის შემთხვევაში. ადამიანების გადაწყვეტილება, რომ გახდნენ მიგრანტები, არ არის ერთგვაროვანი და ხშირად კომპლექსური ფაქტორებით არის განპირობებული, კერძოდ, სოციალური, პოლიტიკური, ჯანმრთელობის და ზოგჯერ მიგრაციას გარემოს ფაქტორებიც კი განაპირობებს.

საქართველოდან ადამიანების დიდი ნაწილი შრომით მიგრაციაში წავიდა, ზოგი ინდივიდუალურად გაემგზავრა სამუშაოდ, ზოგი ოჯახთან ერთად. დღემდე საქართველოში უმრალესობა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა სწორედ ამ შრომით მიგრაციაში მყოფი ოჯახის წევრების ფულადი გზავნილებით ხორციელდება. თუმცა, არის შემთხვევები, როცა ოჯახი ერთად იღებს გადაწყვეტილებას, დატოვოს სამშობლო და წავიდეს საზღვარგარეთ თავშესაფრის მოთხოვნით. მათი მიგრაციის მოტივაცია განსხვავებულია.

საფრანგეთი წარმოადგენს “დეფაქტო მულტიკულტურულ” ქვეყანას (*de facto multicultural country*), თუმცა ეს ცნება სადავო საკითხია (Wihtol de Wenden 2004). მას აქვს მასიური იმიგრაციის გამოცდილება ევროპიდან, აზიიდან და აფრიკიდან. წლიდან წლამდე საფრანგეთში უამრავი იმიგრანტი ჩადის დედამიწის სხვადასხვა ნაწილიდან. ფრანგული საზოგადოება ცდილობს ასახოს ის ისტორიული თავისებურებების რიგი, რომელსაც ის იღებს თავისგან განსხვავებული კულტურებისგან, ცხოვრობს რა დღევანდელ სოციალურ რეალობაში, თავისი არსებობის მანძილზე შემქნილი ღრმა ტრადიციული ღირებულებებით, მენტალიტეტით და ინსტიტუტებით (Fuga 2008).

მოცემული სტატია ეხება მულტიკულტურულ საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ მიგრანტებს, რომლებიც ძირითადად თავშესაფრის მოთხოვნით ჩავიდნენ საფრანგეთში და თანხმობის მიღების შემდეგ დარჩნენ საცხოვრებლად, ზოგი ინდივიდუალურად, ზოგიერთი კი ოჯახთან ერთად.

მიგრაციის პროცესი საქართველოდან საფრანგეთში დიდწილად აღურიცხავია, რადგან ძალიან მცირეა რესურსი, სადაც შეიძლება გაეცნო მიგრანტების რაოდენობას და მათი მიგრაციის მოტივაციას. საფრანგეთის სტატისტიკის ინსტიტუტის მონაცემებში INSEE (Institut national de la statistique et des études économiques) არ მოიძებნება ინფორმაცია ქართველი ემიგრანტების შესახებ საფრანგეთში. ის, რისი მოპოვებაც შესაძლებელი გახდა კვლევის ფარგლებში, არის საფრანგეთში საქართველოს საკონსულოს მიერ მოწოდებული მონაცემები საქართველოდან საფრანგეთში ჩასული მიგრანტების შესახებ, რომელიც წლიური ანგარიშის სახით მიეწოდება საქართველოს სახელმწიფოს, რისი ერთიანი ბაზაც არ არსებობს. საკონსულოს ცნობით, ქართველები ცხოვრობენ თითქმის ყველგან საფრანგეთის ტერიტორიაზე. ძირითადად შემდეგ დიდ ქალაქებში: პარიზი, ბორდო, ლიონი, მარსელი, სტრასბურგი. 2015 წლის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის გამზადებულ ანგარიშში ნაჩვენებია, რომ 436 საქართველოს მოქალაქე სწავლობს საფრანგეთში, 8006 ცხოვრობს ლეგალურად, 54-მა ადამიანმა მიიღო საფრანგეთის მოქალაქეობა 2015 წელს, 1051 ელოდება ლტოლვილის სტატუსს

საფრანგეთიდან, ხოლო 238-მა უკვე მიიღო ეს სტატუსი 2015 წელს.¹

მოცემული კვლევის მიზანი იყო გამოერკვია სხვადასხვა ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვანია ქართველი მიგრანტების საფრანგეთში ადაპტაცია - ინტეგრაციის პროცესში.

კვლევა შეეცადა გაეცა პასუხი კითხვებზე: რა იყო მათთვის მნიშვნელოვანი მიგრაციის ქვეყნის შერჩევისას, როგორ ცხოვრობენ ქართველი მიგრანტები საფრანგეთში, ასევე, როგორ აღიქვამენ ქართველი მიგრანტები: მათ მიერ ახალ სოციოკულტურულ არეალში ადაპტაციის პროცესის დინამიკას; ჯგუფის შიდა და ჯგუფის გარე ურთიერთობებს; როგორია მათი იდენტობა (სოციალური და პერსონალური ფაქტორები); იდენტობის შენარჩუნების რომელ სტრატეგიებს იყენებენ ისინი ამ სოციალურ გარემოში.

კვლევა ჩატარდა პუატიეში - პუატიე შარანტის რეგიონში. საუნივერსიტეტო ქალაქში, Post-Doc კვლევითი სტიპენდიის FMSH – South Caucasus-France (Fondation Maison des Sciences de l'Homme) ფარგლებში, პუატიეს სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორატორია “მიგრინტერის ბაზაზე” (MIGRINTER at *University of Poitiers Poitiers. France*)

ლიტერატურის მიმოხილვა

ახალ გარემოში (სხვა ქვეყანაში) ცხოვრებასთან ადაპტაცია და ემიგრანტად ყოფნა ბევრ სირთულეს უქმნის ადამიანს. თავს იჩენს გამოწვევები, რომლისთვისაც მზად უნდა იყოს ინდივიდი, ზოგჯერ აუცილებელია გარკვეული ადაპტაციის სტრატეგიების შემუშავება. მიგრაციის დროს ადამიანების ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესები კომპლექსურ ხასიათს იჩენს, ასეთ დროს ძალიან მნიშვნელოვანია საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და მასპინძელ საზოგადოებასთან ურთიერთობებს შორის ბალანსის დაცვა. მიმღები საზოგადოების კულტურული გავლენები ემიგრანტების ცხოვრებაზე მიგრაციის განუყოფელი ნაწილია. მშობლიური კულტურა ემიგრანტების შეხედულებებსა და ქცევებში გამოიხატება, ასევე მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენლებშიც. როდესაც მიგრანტი მისთვის უცხო კულტურის მქონე ქვეყანაში მიდის, ის ჯერ ეცნობა განსხვავებულ კულტურულ ნორმებს, ეგუება მას, ცდილობს ადაპტირებას და ინტეგრაციას მიმღებ საზოგადოებაში, ზოგჯერ ცვლის თავისი კულტურისათვის დამახასიათებელ სხვადასხვა ქცევას: ჭამა, ჩაცმა, საუბარი, ზოგჯერ კი შეხედულებებს, კულტურულ ნორმებსაც.

კვლევებით დასტურდება (Berry, 1997), რომ ემიგრანტებისთვის ახალ გარემოში ცხოვრებისას ინტეგრაცია საუკეთესო გზაა. მკვლევარები გამოყოფენ (Sam., Berry (2006); Berry (2001); Sammut (2010); Padilla(2004) რიგ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობს ინტეგრაციის პროცესს, მაგალითად, ემიგრანტის ინდივიდუალური უნარ-ჩვევები, ახალი ენისა და კულტურის შესწავლის სურვილი, დომინანტური მასპინძლის კულტურის ღირებულებებთან შეგუება; ინტეგრაციის პროცესზე გავლენას ახდენს: მიმღები (მასპინძელი) ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე, კულტურული თავისებურებები, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, ემიგრანტების მიმართ მასპინძელი საზოგადოების ღიაობა, მისი შემწყნარებლობა; ინტეგრაციისთვის უკეთესია ისეთი ახალი გარემო, სადაც მათი მსგავსი რელიგია ან ენაა.

¹ საქართველოს საკონსულო საფრანგეთში. Consulate Georgia in France

ეს კარგი საფუძველია, რათა მოხდეს ამ ჯგუფის უკეთესი ადაპტაცია, აკულტურაცია და ზოგჯერ ასიმილაციაც. (Oudenhoven. 2006).

აკულტურაცია — ეს არის კულტურული მახასიათებლების გაცვლა სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის, როდესაც ამ ინდივიდებს ერთმანეთთან ხანგრძლივი დროის განმავლობაში აქვთ ახლო კავშირი; (Sam, David L., and John W. Berry. 2006) აკულტურაციის დროს პირველადი კულტურებიდან რომელიმე ან ყველა შეიძლება შეიცვალოს, თუმცა ჯგუფები მაინც ერთმანეთისგან განსხვავებულნი რჩებიან და ამ პროცესში ისინი ცდილობენ თავიანთი ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებას (*Berry, 1997*). ეთნიკურ იდენტობას ბევრი ასპექტი აქვს, მათ შორის თვითიდენტობაა, რაც ნიშავს, რომ ადამიანი განიცდის საკუთარ თავს ჯგუფის წევრად, ამ ჯგუფისთვის დამახასიათებელი ტრადიციების, ჩვევებისა და ღირებულებების მატარებელად.

მიგრაციის პროცესი ორი ან რამდენიმე სოციალური ჯგუფის უშუალო ურთიერთობის ფონზე მიმდინარეობს, შესაბამისად, მიზნველოვანია ის, თუ რა გავლენას ახდენს და როგორ ცვლის ერთი ჯგუფი მეორეს, ან შესაძლოა ინდივიდი სოციალურ ჯგუფს და პირიქით. ასეთ შემთხვევებში განიხილება ორი მოვლენა: ჯგუფის შიგნით (ინტრაჯგუფური) და ჯგუფთაშორის (ინტერჯგუფური) ურთიერთობები.

ინტერჯგუფური პროცესების საფუძველი სოციალური კატეგორიზაციაა, რომელიც იწყება საგნების, მოვლენების, ინდივიდების საერთო ნიშანთა მოძებნით და სრულდება ამ ნიშნების მიხედვით სოციალური კატეგორიების შექმნით. ინდივიდის აღქმა სოციალური კატეგორიზაციის პროცესს ემყარება. ადამიანები საკუთარ თავსაც სოციალური კატეგორიზაციის საშუალებით აღიქვამენ. სოციალურ გარემოში ადგილის, როლისა და ფუნქციის გასაგებად, ადამიანი ცდილობს გაარკვიოს, რა თვისებები ახასიათებს ჯგუფს, რომელსაც მიაკუთვნებს თავს, ან რა განასხვავებს „ჩვენ“ ჯგუფის წევრებს „სხვა“ ჯგუფისაგან. (Taifel, 1974). კატეგორიზაციად დაყოფა აძლიერებს განსხვავებულობათა აღქმას: ჩვენ გადაჭარბებულად განსხვავებულად აღვიქვამთ ინდივიდებს, რომლებიც განსხვავებულ კატეგორიაში ხვდებიან და გადაჭარბებულად მსგავსად - ჩვენს კატეგორიაში მოხვედრილ ინდივიდებს (Tajfel, 1976).

ჯგუფური კატეგორიზაციის ფენომენი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვადასხვა ქვეყნის/ეროვნების/რელიგიის წარმომადგენელთა ურთიერთობის პროცესში. როდესაც იმიგრანტების კატეგორიზაცია ხდება, როგორც „სხვა“ ჯგუფისა, ადამიანები გადაჭარბებულად აღიქვამენ განსხვავებულობასაც და საკუთარი ჯგუფის წევრებთან მსგავსებებსაც. ფრედერიკ ბართი (Barth 1969) მიიჩნევს, რომ ჯგუფური კატეგორიზაციის საშუალებით ეთნიკური ჯგუფები ემიჯნებიან სხვა ჯგუფებს. ეთნიკური იდენტობა საკუთარი ჯგუფის „სხვა“ ჯგუფთან შედარების საფუძველზე წარმოქმნილი კონსტრუქციაა. ვინ ვართ „ჩვენ“, გავიგებთ მხოლოდ მაშინ, როცა გვეცოდინება, ვინ არიან „ისინი“.

ემიგრანტების განსხვავებული აღქმა აქვს მასპინძელ საზოგადოებას. ფრედერიკ ბართი (Bart 1969) ამტკიცებს, რომ ეთნიკურ განსხვავებათა არსებობა არ ვარაუდობს ურთიერთმიუღებლობას და სოციალური ურთიერთქმედების არარსებობას, პირიქით, არც თუ იშვიათად, ეს განსხვავება, სოციალური სისტემების მშენებლობის საფუძველს წარმოადგენს. ასეთი სისტემების ურთიერთქმედებას მიუხედავად კულტურული ცვლილებისა ან აკულტურაციისა არ მივყავართ ჯგუფების

გაუჩინარებამდე, არამედ ინტერეთნიკური კონტაქტებისა და კავშირების მიუხედავად ინარჩუნებს კულტურულ განსხვავებებს.

კულტურული განსხვავებების შესანარჩუნებლად ემიგრანტები იყენებენ იდენტობის გარკვეულ სტრატეგიებს. კვლევაში გამოყენებულია კამილერის (Camilleri & Malewska-Peyre 1980) კონცეფცია იდენტობის სტრატეგიების შესახებ, რომლის მიხედვითაც, იდენტობის ფორმირება და შემდეგ ტრანსფორმირება მუდმივად მიმდინარეობს სოციოკულტურულ გარემოსთან ურთიერთობის პროცესში. იდენტობის ფორმირების პროცესში ადამიანი მართავს იმ შეუსაბამობებს, რომელიც აღმოცენდება ე.წ. ფაქტიურ (ადამიანის მიერ თავის თავზე შექმნილი ღირებულება/წარმოდგენები) და მიწერილ (ადამიანზე სხვების მიერ შექმნილი ღირებულება/წარმოდგენები) იდენტობებს შორის. ამ კონცეფციის მიხედვით ადამიანი საკუთარი თავისთვის მინიჭებული ღირებულების ხელყოფის პასუხად შეიმუშავებს დაცვის სტრატეგიებს, რის შედეგადაც ყალიბდება იდენტიფიკაციის შემდეგი სახეები: „ნეგატიური“ იდენტობა (ამა თუ იმ სოციალური ობიექტის იდენტობის მიუღებლობა/უარყოფა), „იდენტობა-დაცვა“ (რეაქცია ძველი სტერეოტიპების ნგრევაზე), „განმასხვავებლური რეაქცია“, ანუ „რეაქტიური იდენტობა“ (სხვებზე რეაქცია მათგან განსხვავებულობის აღქმის საფუძველზე), კრიზისულ სიტუაციაში „რეაქტიული იდენტობა“ დაცვის მექანიზმად იქცევა. „პოლემიკური იდენტობა“, რომელიც „რეაქტიული იდენტობის“ უკიდურესი გამოვლინებას წარმოადგენს, როცა ადამიანი საკუთარ თავს არა მხოლოდ განასხვავებს და იცავს სხვებისგან, არამედ აგრესიულად აღმატებული თვითშეფასების საფუძველზე განეწყობა კიდევ ამ „სხვების“ წინააღმდეგ.

ადამიანი ნეგატიური იდენტობისგან იმით თავისუფლდება, როცა თავის თავს აიგივებს იმასთან, ვინც მომგებიან პოზიციაშია. მას გამაუფასურებელი მიწერილობა გადააქვს თავისი ეთნოსის სხვა წევრებზე, ამით ცდილობს, დაშორდეს თავისი ეთნოსის წევრებს. ეს არის ქვესტრატეგია - “გადატანილი ნეგატიური იდენტობა” (ან „ნეგატიური იდენტობის გადატანა“). გარდა ამ სტრატეგიებისა, ემიგრაციის პროცესში არის ინდივიდუალური ქვე სტრატეგიები, მაგალითად, “უჩინარი”, როცა ადამიანი ცდილობს იყოს ჩუმად და შეუმჩნეველად არსებულ ახალ გარემოში სტიგმატიზაციის თავიდან ასაცილებლად. მეორე ქვესტრატეგიაა “ასიმილირება”, როცა ძალიან ემსგავსები ატოქტონებს და ცდილობს განსხვავება არ შეიმჩნიოს. (Camilleri & Malewska-Peyre 1980.)

ახალ სოციალურ გარემოში მიგრირებას თან ახლავს თავისთვის მინიჭებული ღირებულების განმეორებითი შეფასება-გადაფასება, განსხვავებული კულტურულ გარემოსთან შეჯახებისას ადამიანები ცდილობენ მათი მაიდენტიფიცირებელი წარმოდგენები/ღირებულებები გარემოს მოთხოვნების შესაბამისი გახადონ. ახალი სოციო-კულტურული გარემო არ იძლევა საშუალებას საკუთარი თავისადმი მიწერილი ღირებულებების ისეთივე აღქმა იყოს, როგორც ეს ჩვეულ გარემოში ხდება. და ამ დროს ირთვება იდენტობის დაცვის სტრატეგიები, რომლებიც „ჩვენი“ და „ისინი“ სოციალურ კატეგორიებს ერგება და მიგრანტებისთვის (როგორც ემიგრანტებისთვის, ასევე იმიგრანტებისთვის) მნიშვნელოვანი ხდება იდენტობის სტრატეგიების შერჩევით შიდა და გარეჯგუფური ურთიერთობების დალაგება.

მეთოდოლოგია

მიგრაციის მკვლევრები (Kim at al. 2001), რომლებიც საზოგადოებაში ასიმილაციის, აკულტურაციის, ინტეგრაციისა და ადაპტაციის პროცესებს სწავლობენ, გვიჩვენებენ თვისობრივი მეთოდების გამოყენებას, რომ სიღრმისეულად შევისწავლოთ ის, თუ რას განიცდიან იმიგრანტები ახალ გარემოში ცხოვრებისას. კვლევის პროცესში, მიგრაციის მკვლევარების მიხედვით (Kim at al. 2001), ჩატარდა თვისობრივი კვლევა სიღრმისეული ინტერვიუების გამოყენებით (Creswell, 1998). მასში მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთში, ქალაქ პუატიეში მცხოვრებმა, 2001-20012 წლებში მიგრირებულმა ქართველებმა. კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა შერჩევის არაალბათური მეთოდი, „თოვლის გუნდა“. ინტერვიუები რესპონდენტებისთვის მოსახერხებელ ადგილას ტარდებოდა. საველე სამუშაოები 2016 წლის ივლისსა და აგვისტოში მიმდინარეობდა. კვლევაში მონაწილეობაზე თანახმა იყო ბევრად ნაკლები ადამიანი, ვიდრე შევხვდით ამ კვლევის ფარგლებში. კვლევის ეთიკური ნორმების დაცვით, სულ ჩატარდა 15 სიღრმისეული ინტერვიუ, მონაწილეობა მიიღო 10-მა ქალმა და 5-მა მამაკაცმა. მათი ასაკი 29-დან 45 წლამდე მერყეობდა. მათგან 12 იყო დასაქმებული, ხოლო 3 კი — დაუსაქმებელი. სამ მონაწილეს ჰქონდა საშუალო; ორს — პროფესიული და ათს კი — უმაღლესი განათლება. ყველა მონაწილე პუატიეში ცხოვრობს ოჯახთან: მეუღლესთან და ბავშვებთან ერთად.

ინტერვიუს ტრანსკრიპტების ანალიზის პროცესში გამოიყო მთვარი თემები და ქვეთემები.

მოვლენები დალაგდა წარსული, აწყმო და მომავლის მიხედვით.

ქვეთემები: მიგრაციის მიზეზები: პოლიტიკური ნიშნით დევნა, ჯანრმთელობის პრობლემები;

განსახლება საფრანგეთში: სამუშაო, მასპინძელი საზოგადოება - მსგავსება და განსხვავება: ოჯახი, ნათესაობა, მეგობრობა. სხვა ქართველი ემიგრანტები - მსგავსება და განსხვავება; იდენტობის სტრატეგიები; მომავლის გეგმები; საქართველო.

მოცემულ სტატიაში განხილულია საფრანგეთში მცხოვრები ემიგრანტების ინტრა და ინტერჯგუფური ურთიერთობების აღქმა და იდენტობის სტრატეგიები.

ძირითადი მიგნებები

მიგრაციის პროცესი ორი ან რამდენიმე სოციალური ჯგუფის უშუალო ურთიერთობის ფონზე მიმდინარეობს. შესაბამისად, მიშნველოვანია ის, თუ რა გავლენას ახდენს, როგორც ცვლის ერთი ჯგუფი მეორეს, ინდივიდი სოციალურ ჯგუფს და პირიქით. ასეთ შემთხვევებში განიხილება ორი მოვლენა: ჯგუფის შიგნით (ინტრაჯგუფური) და ჯგუფთაშორის (ინტერჯგუფური) ურთიერთობები.

სიღრმისეულ ინტერვიუებში ჩანს ქართველი ემიგრანტების აღქმები ჯგუფის შიდა და ჯგუფთაშორისი კატეგორიზაციის შესახებ, რომელიც გარკვეულ პრინციპებს (Tajfel, 1976; Bart, 1969) და სხვადასხვა იდენტობის სტრატეგიებს ეყრდნობა, რომელსაც იყენებენ ქართველები საფრანგეთში.

ჯგუფთაშორის (ინტერჯგუფური) ურთიერთობები.

ქართველი ემიგრანტების ნარატივის მიხედვით, ფრანგები თავისებური ხალხია, მათ აქვთ, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი თავისებურებები. ქართველი

მიგრანტები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ ამ ორი კატეგორიის ფრანგულ მახასიათებლებს. ისინი აღწერენ, თუ რა არის მსგავსი და განსხვავება ამ ორ ერს (ეთნიკურ ჯგუფს) შორის. ქართველი ემიგრანტების შეფასებების მიხედვით, ძალიან ბევრი რამე არის განმასხვავებელი ქართველებსა და ფრანგებს შორის, განსაკუთრებულად აღნიშნავენ ქართველების ხელგაშლილობას, რითიც ისინი ძალიან განსხვავდებიან მასპინძელი საზოგადოებისგან. ქართველი ემიგრანტების აზრით, ფრანგები:

„პირველ რიგში არიან ძუნწები, საოცრად ძუნწები, ჩვენ რომ მაგიდას გავშლით და მათ დავპატიჟებთ, იწყებენ იმაზე ლაპარაკს, საიდან გავქვს ამდენი ფული . . . , ძუნწები არიან ყველგან და ყველაფერში, ჩვენსავით კი არ არიან, მოკლედ...“ (39 წლის ქალი).

განმასხვავებელ თავისებურებად, ასავე, აღნიშნავენ ფრანგების სიფრთხილეს ურთიერთობებში, როგორც ისინი ამბობენ, ადვილად არ უმეგობრდებიან ახალ გაცნობილებს, გარდა ამისა, სულ “შემოწმების” რეჟიმში ჰყავთ ახალი ნაცნობები

“სულ ეჭვი ეპარებათ შენში” სულ გამოწმებენ, ხანდახან ეს საშინელ მდგომარეობაში გავდებ“ (45 წლის მამაკაცი).

ეს განსხვავებულობა მათი წარმოშობისა და მიგრაციის მიზეზების გამოკვლევასთან ერთად უნდობლობას გულისხმობს და დაკვირვების რეჟიმში ყოფნა ქართველ მიგრანტებში დისკომფორტს იწვევს.

“ მათთან მეგობრობა შეუძლებელია, სულ გამოცდას გიწყობენ, იმიტომ რომ შენ ემიგრანტი ხარ ” (40 წლის მამაკაცი)

საინტერესო იყო, ვინ წარმოადგენს კვლევაში მონაწილეების სოციალურ წრეს, ადამიანებს, ვისთანაც ისინი ურთიერთობენ, ვისთან მეგობრობენ, ფიგურირებენ თუ არა მათ შორის მიმღები საზოგადოების წევრები, თუ ისინიც ქართველი ემიგრანტები არიან. ინტერვიუების შემდეგ, მოგვიანებით, არაფორმალური საუბრების დროს გაირკვა, რომ ფრანგები, ვისზეც ისინი საუბრობენ, როგორც ახლობლებზე, როგორც „ აქაურებზე“, არ არიან არც მეზობლები და არც თანმშრომლები, არამედ ძირითადად სოციალური მუშაკები არიან, რომელთაც ისედაც „ ევალებათ“ თავშესაფრის მაძიებლებთან ურთიერთობა. მოაქალების მიღების შემდეგ კი ცდილობენ გააგრძელონ მათთან, როგორც ახლობლებთან ურთიერთობა. ცდილობენ ოჯახური მეგობრობის დამყარებას და საუბარში ადგილობრივებს შორის ყველაზე ახლობლებად სწორედ მათ თვლიან. ეს ხაზს უსვამს დამხვედრი საზოგადოების მხრიდან გასწავლებული დამოკიდებულების შესამამისად საკუთარი თავის აღქმის მოდიფიცირებას, რაც, რა თქმა უნდა, იწვევს იდენტობის დაცვის სტრატეგიების შემუშავებას. ასეთ შემთხვევაში მუშავდება „განმასხვავებელი იდენტობის“ სტრატეგია.

ინტერვიუების პროცესში ემიგრანტები მასპინძელი საზოგადოების “სხვა” კატეგორიაში მოთავსების შემდეგ იწყებენ განსხვავებული თავისებურების ხაზგასმას. “ჩვენ”-სა და “სხვა” („მათ“) შორის. დიფერენცირება ხდება ურთიერთობების შემდეგ სახეობებში: მეგობრობა, აღზრდის სისტემა; დედაშვილური ურთიერთობა და ურთიერთობა დედამამიშვილებს(და-მამებს) შორის. კვლევაში მონაწილე თითქმის ყველა ქართველი ხაზს უსვამს ამ განსხვავებას:

“აქ სხვანაირი მეგობრობა იციან, ჩვენ ეს არ გვესმის. იშვიათად გეპატიჟებიან სახლში, მაგალითად, ჩემს ერთ თანამშრომელ გოგოსთან ძალიან ახლოს ვარ, წლებია ვიცნობ, მისი პირადი ცხოვრების ყველა წვრილმანიც კი ვიცი, დაბადების

დღეზე ერთმანეთს საჩუქრებსაც ვჩუქნით, მაგრამ მასთან სახლში არასდროს ვარ ნამყოფი, არც ჩემთან არ მოდიან და არც მე არ მივდივარ.“ (40 წლის ქალი)

კვლევაში მონაწილეებისთვის ფრანგული აღზრდის სისტემა გაუგებარია, ისევე როგორც ახლო ნათესავებთან მათი დამოკიდებულებები. ისინი აღნიშნავენ, რომ მათ ნაცნობ ფრანგებს ოჯახში უნცაური ურთიერთობები აქვთ შვილებთან და საკუთარ დედმამიშვილებთან.

„შვილებს 16 წლამდე ზრდიან, ხოლო როგორც კი სასწავლებლად წავლენ, ამოისუნთქავენ, მერე უკვე მაგათზე ნაკლებად ზრუნავენ, მათი წარმოდგენით მათ უკვე დაასრულეს თავიანთი „მშობლური“ მოვალეობა და აწი შვილებმა თავიანთ თავს თვითონ უნდა მიხედონ“ (42 წლის ქალი)

ნათესაობასთან ურთიერთობაც ქართველი ემიგრანტებისთვის განმასახვავებელი თავისებურებაა. თითქმის ყველა აღნიშნავდა „ჩვენს“ და „მათ“-ს შორის ამ განსხვავებას.

“ჩვენთვის ჩვენი და-ძმა ოჯახის წევრია, აქ ეს სხვანაირადაა, შენი ოჯახი მხოლოდ შენი ქმარი და შვილებია და მხოლოდ ამ წრეში შემოიფარგლები”(40 წლის მამაკაცი).

„აქ არ ესმით, ვერ იგებენ რატომ ვლელავთ ჩვენ ჩვენს დედმამიშვილებზე, დედმამიშვილებთან ძირითადად ქონებრივი დავები და გარჩევები აქვთ ხოლმე“ (36 წლის ქალი).

მათთვის უცხოა „ ფრანგული“ დამოკიდებულებები „ქართული“ გადმოსახედიდან სხვა ადამიანების ცხოვრების მიმართ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს სხვა შენი „სისხლი და ხორცია“, როგორც ისინი ამბობენ:

„ყველაფერს, მათ შორის ნათესაობასაც ძალიან საქმიანად უდგებიან, მხოლოდ აუდიენციის დანიშვნის შემდეგ შეგიძლია დას ან ძმას ესტუმრო, არ გაქვს უფლება დარეკო და უთხრა,

რომ ამ ქალქში აღმოჩნდი დღეს შემთხვევით და მოვალ შენთან ღამის გასათევად“ (42 წლის მამაკაცი).

ეს ძალიან უჩვეულოა ქართველი ემიგრანტისთვის, შესაბამისად, უფრო ზრდის დისტანციას „სხვა“ ჯგუფთან. ქართველი ბებიისთვის წარმოუდგენელია შვილიშვილებთან სტუმრობისთვის ნებართვა აიღოს, რასაც ისინი ხშირად ხედავენ გარეშემოში, და აქედანვე დარდობენ იმაზე, რომ მათი შვილები თუ ადგილობრივთან შექმნიან ოჯახს, მაშინ რა იქნება;

„ვერ წარმომიდგენია რა იქნება, ჩემი სიძე ფრანგი რომ იყოს, ეს ნიშნავს, რომ შვილიშვილების სანახავად შეთანხმება უნდა დავდო სიძესთან და ქალიშვილთან?“ ამბობს 36 წლის ქალი

სიმბოლური ინტერაქციონისტების თანახმად (Cooley 1998), ემიგრანტების მიერ აღქმული „სარკული მე“ მასპინძელი საზოგადოების აღქმის მისეული ინტერპრეტაციის საფუძველზე, წარმოადგენს მიზეზს, რის გამოც ემიგრანტი "სხვების" კატეგორიაში ათავსებენ მასპინძელს. ემიგრანტები თავს არასასურველებად მიიჩნევენ ავტოქტონებისთვის, ამიტომაც დისტანცირდებიან და ისე აღწერენ ამ სიტუაციას, თითქოს მათ არ აქვთ უფლება იყვნენ ავტოქტონებზე უკეთესები .

„ისინი ძალიან ამაყები არიან; ისინი ზემოდან გიყურებენ, შენ უცხოელი ხარ, შენ გვიან ჩამოხვედი და შენ გინდა იგივე პოზიცია? ნურას უკაცრავად“ (36 წლის ქალი)

„შენ შეგიძლია იყო მსახური, დამლაგებელი, ან მედდა ან რაიმე სხვა - დაბალ პოზიციზე, ასეთ შემთხვევაში ისინი ძალიან მხარდამჭერები არიან, მაგრამ თუ შენი სურვილია იყო მეტად წარმატებული, სოციალურ კიბეზე უფრო მაღლა ასვლა, ეს მიუღებელია მათთვის და ამ შემთხვევაში ყველაფერი იცვლება, დამოკიდებულებაც შენს მიმართ“ (35 წლის ქალი).

ეს დისტანცირება მტკივნეულად აღიქმება განსაკუთრებით დასაწყისში, როცა ემიგრანტი სწავლობს ადგილობრივების(ავტოქტონების) ენას და წეს-ჩვეულებებს:

„თუ ფრანგული არ იცი, ეს აბსოლუტურად შეუძლებელია. მათ კარგად ესმით სხვა ენა, მაგალითად, ინგლისური ან გერმანული, მაგრამ არ გიპასუხებენ არაფრის დიდებით, ფრანგული უნდა იცოდე, მათი პასუხის ღირსი რომ გახდე“ (36 წლის ქალი).

ეს განმასხვავებელი თავისებურებებია, რაც ქართველებისთვის ფრანგების „სხვა“ კატეგორიაში თავსდება, შესაძლებელია ეს „რექტიური იდენტობა“ „პოლემიკური იდენტობის“ სტრატეგიაში გადაიზარდოს. ეს მხოლოდ მსგავსი სოციალური სტატუსის ადამიანთან ურთიერთობისას ხდება. სხვა ემიგრანტთან, რომელიც მის მსგავსად უკმყოფილებას გამოთქვას ფრანგების მიამართ.

თუმცა მონაწილეთა ნარატივის მიხედვით მხოლოდ განმანსხვავებელი თავისებურებები არ არის ქართველებსა და ფრანგებს შორის, არის მსგავსებაც, რომელსაც თითქმის ყველა რესპონდენტი აღნიშნავს.

„ძალიან ჭორიკანა ხალხია, ჩვენსავით უყვართ ლაპარაკი და ჭორაობა“ (35 წლის ქალი)

„მათ უყვართ თავიანთი ოჯახი და ყველა მნიშვნელოვან თარიღს ისინი ერთად ხვდებიან, ახალი წელი, შობა, აღდგომა მათთვის ოჯახთან ერთად ყოფნა ძალიან ძვირფასია“ (40 წლის ქალი).

„მათ ისევე უყვართ ღვინო, როგორც ჩვენ, ქართველებს“ (40 წლის კაცი).

კვლევაში მონაწილეები თავიანთ ინტერვიუებში გამოყოფენ ისეთ განსხვავებებს, რომლებიც ქართველებს არ აქვთ, და ეს გასნხვავება, მათი აზრით, ძალიან კარგ თავისებურებებს უსვამს ხაზს. მონაწილეთა აზრით, ეს ფრანგების დადებითი მხარეა

„ანგარიში (ფინანსურად) კარგად იციან, ერთხელ ერთმა ფრანგმა მეზობელმა მითხრა, „კარგი ანგარიში კარგ მეგობრობას არ აფუჭებს“ და ზუსტი ანგარიშის დროს ურთიერთობებისც მყარიაო“ (36 წლის ქალი).

მონაწილეები ხაზს უსვამენ ქართველებისთვის დამახასიათებელი ფამილარობისა და ახლობლობის გამოხატვის საწინააღმდეგო თავისებურებას, რაც აქ ცხოვრების შემდეგ უფრო ხილული გახდა მათთვის და ფიქრობენ, რომ ფრანგებისთვის დამახასიათებელი ეს თვისება მოსაწონი და კარგია:

„ფრანგი პატივს სცემს შენს პიროვნებას, ზედმეტად არავინ შემოგეჭრება სახლში, არავინ ზედმეტად არ შეგაწუხებს, წინასწარ დაგირეკავს და შეგითანხმდება, ჩვენსავით კი არ არიან,“ (37 წლის ქალი).

კვლევაში მონაწილე ემიგრანტები საუბრისას აღნიშნავენ, რომ საფრანგეთში ცხოვრების შემდეგ გააცნობიერეს, როგორი განსხვავებულია ფრანგების ცხოვრება სიყრმეში, ახალგზარდობასა და ხანშიშესულობაში. რამდენად განსხვავებულია მათი ქცევის პატერნები სხვების დახმარებასთან დაკავშირებით, ბავშვობიდან როგორ სწავლობენ ალტრუიზმს, ქველმოქმედებას, მოხლისეობას,

რომელიც თავიდან ცოტა უცნაურად ეჩვენებოდათ და ახლა ძალიან მოსწონთ და თვითონაც ცდილობენ შესაძლებლობის ფარგლებში მიიღონ მონაწილეობა.

“ ფრანგები ძალიან ქველმოქმედი ხალხია. არ ეზარებათ სხვების დამხარება, განსაკუთრებით პენსიაში როცა გადიან, სახლში არ ჩერდებიან , ჩართულები არიან ყველა საქველმოქმედო ასოციაციაში და საზოგადოებაში, რომ რაღაცა სიკეთე გააკეთონ.”(38 წლის ქალი).

ქართველები პრაგმატულად უდგებიან საკითხს, იყენებენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სამუშაოს ძებნისას, მათ მიერ წარდგენილ დოკუმენტებში თუკი იქნება მათი მოხალისეობრივი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, ეს გათვალისწინებული იქნება დამსაქმებლის მიერ. ახლა სოციალურ გარემოში არსებული წესების პრაგმატულად გამოყენება, დროსთან ერთად შესაძლებელია ინტერიორიზირდეს, და წლების შემდეგ ცხოვრების წესად იქცეს:

„ ჩემმა „სოციალმა“ (სოციალური მუშაკი) მითხრა, თუ შენს ცხში გეყენება ჩამოწერილი, რამდენს აკეთებ მოხალისეობრივად, ეს დაგეხამრება სამსახურის შოვნაში, და მეც ვცდილობ ვიპოვო რამე“ (36 წლის ქალი).

ემიგრანტებისთვის მასპინძელი საზოგადოების წევრების ცხოვრების აზრი განსხვავებულია, მათი ცხოვრების სტილი გაუგებარია, კითხვებს აჩენს, მაგრამ ხანგრძლივად ცხოვრების შემდეგ სიტუაციასთან შეგუების შესაბამისად ხვდებიან, რომ ცხოვრების ეს სტილი არ არის ცუდი ამ ქვეყანაში ცხოვრებისთვის:

“მთელი ცხოვრება აგროვებს იმისთვის, რათა დაისვენოს, ჰქონდეს შვებულება; აგროვებს, რათა პენსიის დროს იცხოვროს უკეთესად. არასოდეს არ იყიდის მანქანას კომფორტისთვის, იყიდის აუცილებლად მოხმარებისთვის, სამოდრაოდ. „მაღალი ტრაშკას“ ხმარობს, რომელიც ძალიან ცოტას წვავს და პატარა ადგილს დაიკავებს პარკინგზე.”(40 წლის მამაკაცი).

ეს ის „ განმანსხვავებელი“ თავისებურებებია, რომლებიც აქ ცხოვრების მანძილზე აღმოაჩინეს ქართველმა ემიგრანტებმა, თავიდან გაოცებას, გაკვირვებას იწვევდა, ახლა უკვე მოსწონთ.

როგორც ზემოთ თქმულიდან ჩანს, ემიგრანტის ცხოვრებაზე დამხვედრი კულტურა აისახება, ეს შესაძლებელია პირველი თაობის მიგრანტების ქცევის ნაწილობრივ ცვლილებაში გამოიხატოს, რადგანაც ემიგრანტებმა უნდა მიიღონ იქაური წესები, სადაც მიდიან, მით უმეტეს, თუ მათ ეს ქვეყანა თავისი ოჯახის საცხოვრებლად აარჩიეს.

“მეც ვიცვლები, რაც მომწონს ამათი, იმას ვატყობ რომ ვიღებ, ქართველებსაც ისევე ვეყცევი, როგორც აქაური წესებია” (40 წლის კაცი).

მიმღები კულტურის გავლენები გასწავლეთრებულად ბავშვებზე ჩანს და კვლევის მონაწილეები ამას აღნიშნავენ:

“მე ვატყობ, რომ ჩემი შვილები გასწავებულები არიან, მათ აქაური თავისებურებები უფრო მეტი აქვთ, ვიდრე ქართული, მაგალითად, თუ ჩვენ ხმამდლა შეგვიძლია გამოვხატოთ ჩვენი შეშფოთება ან შენიშვნა, ჩემი შვილები განსხვავებულად აკეთებენ ამას, მაგალითად, დამიჯდება და მეტყვის: დედა, ეს ასე ხომ არ ჯობდა, კი არ მეტყვის „ასე არ უნდა გავგეკეთებინა “, როგორც მე ამას ვარ შეჩვეული “(38 წლის ქალი).

მიუხედავად იმისა, რომ ემიგრანტები ცდილობენ თან წაიღონ ის წეს-ჩვეულებები, რომლებიც მათ საქართველოში ჰქონდათ და გადასცენ თავიანთ შვილებს, ადგილობრივი გარემოს გავლენით განიცდის ცვლილებას;

“*მე და ჩემი ქმარი ვცდილობთ შევინარჩუნოთ ჩვენი რამეები, მაგრამ ვხვდები, რომ არ გამოდის. სახლში ისე იქცევებიან, როგორც ჩვენ გვინდა, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ გარეთ, თავის თანატოლებთან, სხვა გარემოში ისევე იქნება, როგორც აქაურები აკეთებენ*” (36 წლის ქალი).

იცვლება წესები და იცვლება ახალგაზრდა თაობაში ყველაფერი, ნელ-ნელა ისინიც „ფრანგები“ ხდებიან, ეს ყოველდღიურობაში გამოიხატება, გამოიხატება კვების პროცესშიც. გულისტკივილით აღნიშნავს ქართველი ემიგრანტი:

“*ვერ ვიტყვი, რომ ჩემს შვილებს არ უყვართ ქართული საჭმელები, მაგრამ მაინც შესამჩნევია ის, რომ ისინი უფრო აქაური საკვებებით იკვებებიან და მეც ძალაუნებურად მიწევს ამისთვის ფეხის აყოლიება, და უნდა ვაღიარო, რომ მე და ჩემს ქმარს უფრო გვიხარია ქართული საჭმელები, ვიდრე მათ*” (38 წლის ქალი).

ანალიზის დროს გამოიყო „განმანსხვავებლური რეაქცია“, ანუ „რეაქტიური იდენტობა“ (სხვებზე რეაქცია მათგან განსხვავებულობის აღქმის საფუძველზე), და მცირე „პოლემიკური იდენტობა“, რომელიც „რეაქტიური იდენტობის“ უკიდურეს გამოვლინებას წარმოადგენს, როცა ადამიანი საკუთარ თავს არა მხოლოდ განასხვავებს და იცავს სხვებისგან, არამედ აგრესიულად აღმატებული თვითშეფასების საფუძველზე განეწყობა კიდევ ამ „სხვების“ წინააღმდეგ. ჯგუფთასორისი ურთიერთობები „ჩვენი“ და „ისინი“ სოციალურ კატეგორიებს ერგება და ემიგრანტებისთვის ასე ხდება ურთიერთობების დალაგება.

ჯგუფის შიგნით (ინტრაჯგუფური) ურთიერთობები

ინტრაჯგუფური ურთიერთობები გასნხვავებულია მიგრაციის დროს. ინტერვიუებში კვლევის მონაწილეები თავშეკავებულად, მაგრამ მაინც პასუხობენ კითხვაზე - როგორები არიან საფრანეთში ქართველი ემიგრანტები და რითი გასხვავდებიან ისინი სხვა ქართველებისგან, ან მათგან, ან მათი ოჯახებისგან?

კვლევის მონაწილეები აღნიშნვენ, რომ ქართველების შესახებ ამ ქალაქში ბევრი არაფერი იციან, გარდა იმ კრიმინალური სტატიებისა, რომლებიც გაზეთებში იბეჭდება, და რომლებიც მათი გულისტკივილია. ისინი თავისი მხრიდან ცდილობენ შეცვალონ ფრანგებში ჩამოყალიბებული ეს შეხედულებები ქართველებზე. მათ მიერ დაარსებული ორგანიზაცია ”ივერიის” სახელით ადგილობრივ ფესტივალებზე ჩატარებული კულტურული ღონიძირებებით აცნობებენ აქაურებს ქართველებს კარგი მხრიდან, ამ ღონიძირებებზე არსებული დაბეჭდილი მასალების გავლენის იმედი აქვთ.

“*იმ პერიოდში ბევრი სტატია იბეჭდება ჩვენს ბაშვებზე, მათ ცეკვებზე, და ეს ჩვენთვის ბედნიერებაა, რადგან ეს იმ დროს მაინც გადაფარავს ცუდ ამბებს ქართველებზე*” (38 წლის ქალი).

კვლევაში მონაწილეები ერთხმად აღნიშნავენ, რომ აქ ორი კატეგორიის ქართველია - ერთი „ნორმალური“, რომელსაც მუშაობა და ცხოვრება უნდა, ხოლო მეორე „სხვა ტიპის“ ქართველი, რომელშიც შემდეგი თავისებურებები ჭარბობს: - „უწესრიგოები, პრეტენზიულები, მოწუწუნენი, შურიანი, მეტიჩრები, ამპარტავნები“.

„*საქართველოდან ჩამოსული ემიგრანტები, ისინი, ვინც თავშესაფარს ითხოვს, უფრო მოთხოვნის ფორმაში აკეთებს ამას, ვიდრე თხოვნის, და ამ თხოვნას ძალიან რასისტული ხაზიათი აქვს “ჩვენ ვიცით რომ გვეკუთვნის” და ეს ძალიან აღიზიანებს აქაუროებს*” (40 წლის მამაკაცი).

ამპარტავნების და სხვა ქართველების სახლის შელახვის ფონზე ცხოვრობენ ეს ქართველი ემიგრანტები. თავშესაფრის მომთხოვნელი ეს „ამპარტავნი“

ქართველი, როგორც კვლევაში მონაწილეები აღნიშნავენ, მულტიმედია პრეტენზიას გამოთქვამს, მის მიერ კანონის დარღვევით გამოწერილი ჯარიმის გადახდაც არ უნდა:

„ჩამოდიხარ და ამ სახელმწიფოს თავშესაფარს სთხოვ, გაძლევს თავის სარჩენად თანხას, შემდეგ სთხოვ, რომ რაც დაარღვიე, იმის ჯარიმა ან გადასახადი არ გადაგახდევინოს, და მიდიხარ სოციალთან პრეტენზიით, ბოლო გამოშვება BMW - მარკის ავტომანქანით და გიკვირს, როცა ის გეუბნება, გაყიდეთ ეს მანქანა ჯარიმასაც გადაიხდი და კარგა ხანი გეყოფათ შენდა შენს ცოლ-შვილს, შენ კი უკმაყოფილო ხარ ამ ქვეყნით და ხალხით“ (36 წლის ქალი).

როგორც კვლევაში მონაწილე ემიგრანტები აღნიშნავენ, ეს „სხვა- მეორე ტიპის ქართველები“ საერთო საცხოვრებელში ცხოვრებისას, სხვა თავშესაფარის მამიებლებისგან განსხვავებით, არ იცავენ არსებულ წესებს :

„როცა სტუმრების მიღება არ შეიძლება, შენ მაინც უამრავი ხალხი გყავს და ხმაურობენ, თან ამატებ „ჩვენ ხომ ქართველები ვართ“ „როცა ნაგვის გადაგდება არ შეიძლება და შენ ყრი“ (40 წლის ქალი).

მონაწილეთა ნარატივის მიხედვით, აქ არიან კიდევ სხვა კატეგორიის ქართველები, რომლებიც „უსაქმურობით“ გამოირჩვიან. კვლევის მონაწილეები ამ კატეგორიაში განასახვავებენ სქესის მიხედვით. მამაკაცები, რომლებიც ითხოვენ თავშესაფარს და ცხოვრობენ საფრანგეთში, არაფერს აკეთებენ ოჯახისთვის. ისინი ცხოვრობენ „პასობიეს“ იმედზე, ზოგი მათგანი ქურდობით არის დაკავებული.

„ასეთი კატეგორიის მამაკაცები ძირითადად სახლში სხედან, იღებენ საფრანგეთის მთავრობის მიერ გამოყოფილ დახმარებას და მძიმე სამუშაოებზე არ მუშაობენ და კი იცით რითიც არიან დაკავებულნი(ქურდობას გულისხმობენ) . . .“ (40 წლის ქალი).

ქალები, რომლებიც უფრო აქტიურები არიან, უფრო ზრუნავენ ოჯახებზე, ვიდრე მამაკაცები. ისინი მუშაობენ სასტუმროებში დამლაგებლებად, რათა მეტი ჰქონდეთ მათ ოჯახს ვიდრე სახელმწიფო გამოყოფს მათთვის.

“ქართველი გოგონები მუშაობენ დამლაგებლად, ალაგებენ, რომ იშრომონ, და კაცები სხედან გულხელდაკრეფილები -ან იპარავენ, ან რაფერს არ აკეთებენ ლოთობის მეტს.“ (38 წლის ქალი).

კვლევაში მონაწილეების ნაწილი ძალიან ფრთხილად ცდილობს ახსნას თავისი აღქმები, ზედმეტად არაფერი თქვას, ხაზი გაუსვას თავის და თავისი ოჯახის განსხვავებას და თავისებურებას: *„მე პირადად ცუდს ვერ ვიტყვი ვერავინზე, ჰო, ჩემთვის ყველაფერი მისაღები არ არის, მე ჩემი წესები მაქვს ცხოვრების და შეხედულებები, და ასე ვცვხოვრობ“ (39 წლის კაცი).*

კვლევაში, მონაწილეთა აღწერების მიხედვით, არის კიდევ ერთ კატეგორია -არიან „ნორმალური“ ქართველებიც, რომლებიც დღეს და ღამეს ასწორებენ ოჯახის სარჩენად და შვილების კეთილდღეობისთვის:

“მეორე კატეგორიის ქართველები მძიმე სამუშაოზე მუშაობენ, არაფერს არ თაკილობენ, ოჯახი რომ არჩინონ, მშენებლობებზე ან ქარხნებში, მაგრამ ძალიან ცოტანი“ (38 წლის მამაკაცი).

კვლევის პროცესში აღმოვაჩინე, რომ კვლევაში მონაწილეობაზე დამთანხმდნენ ძირითადად მეორე, ე.ი. „კარგი“ კატეგორიის ქართველები, ნაწილი მათგანი.

“ მძიმე სამუშაოზე შრომობენ, მაცივრებში, სადაც ხორცებს ჭრიან, ამუშავებენ და სულ ცივა. გარდა ამისა, მერე ქათმების, ბატების იხვევის, ქარხნებში არიან, „ფუაგრას“ ქარხნებში, სადაც ასევე მძიმე სამუშაოა”(40 წლის ქალი).

შეგვიძლია ვთქვათ, რომ კვლევის პროცესში აქტიურდება ემიგრანტების კოლექტიური იდენტობა და „ჩვენ“ ჯგუფში მთლიანად ქართველობა მოიაზრება, ინდივიდუალური ირთვება მხოლოდ მაშინ, თუ კითხვა მათ ოჯახსა და სხვა ქართველებს შორის განსხვავებებს ეხება. ადამიანები ნეგატიური იდენტობისგან იმით თავისუფლდებიან, რომ თავის თავს აიგივებენ იმასთან, ვინც მომგებიან პოზიციაშია. მას გამაუფასურებელი მიწერილობა გადააქვს თავისი ეთნოსის სხვა წევრებზე, ამით ცდილობს, დაშორდეს თავისი ეთნოსის წევრებს - ქვესტრატეგიის “გადატანილი ნეგატიური იდენტობა” (ან „ნეგატიური იდენტობის გადატანა“) გამოყენებით.

დასკვნა

კვლევის მიზანი იყო ახალ სოციო-კულტურულ გარემოში საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების სუბიექტური აღქმების საფუძველზე მათი ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების სტრატეგიების და ჯგუფის შიდა და ჯგუფთაშორისი ურთიერთობების შესწავლა. ახალი სოციალური გარემო, ფრანგებისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალისტური ცხოვრების სტილი ჯერჯერობით გავლენას ვერ ახდენს კვლევაში მონაწილე საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებზე. კვლევა არ იძლევა საშუალებას შევადაროთ მიგრაციის ხანგრძლივობის პერიოდის და ასაკობრივი განსხვავების მიხედვით ემიგრანტების აღქმები, თუმცა დაკვირვების, არაფორმალური შეხვედრებისა და საუბრების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პირველი თაობის ემიგრანტები ცდილობენ შეინარჩუნონ ძველი წესები და ჩვეულებები, რომლებიც საქართველოდან „თან წამოიღეს“ როგორც „წარმოასხვით“ საზოგადოებას“ (Anderson 1991) და ცდილობენ ეს ყველაფერი გადასცენ საკუთარ შვილებს.

ქართველი ემიგრანტები მასპინძელ საზოგადოებას ათავსებენ „სხვა“ კატეგორიაში და პოულობენ განსხვავებებს მიგრანტ და მასპინძელ საზოგადოებას (ჯგუფებს შორის ურთიერთობებში) შემდეგი ურთიერთობების კატეგორიებში: მეგობრობა, აღზრდის სისტემა, დედაშვილური ურთიერთობები, და დედამშვილებს შორის ურთიერთობები. ემიგრანტების კოლექტიური იდენტობა და „ჩვენ“- ში ჯგუფში მთლიანად ქართველობა მოიაზრება. ინდივიდუალურ იდენტობის ქვესტრატეგიებს შორის პრაგმატულ იდენტობის ქვესტრატეგიას ირჩევენ. ქართველი ემიგრანტები საფრანგეთში, ისევე როგორც ქართველი ემიგრანტების პორტუგალიაში (ფირცხალავა 2017) „განმასხვავებელი იდენტობის“ ან „განსხვავების შესაბამისი იდენტობის“ სტრატეგიას ირჩევენ, როცა ადამიანები გრძნობენ ავტოქტონების უსურვილობას, თავისიანად ჩათვალონ. ადამიანთა ეს კატეგორია აცნობიერებს საკუთარი ეთნიკური ჯგუფის თავისებურებებს; ქმნიან დისტანციას და რამდენადაც უფლება არ აქვთ, ვინმე სხვად იქცეს, კმაყოფილდება იმით, დისტანცირდებიან თავიანთი ეთნიკური ჯგუფის წევრებისგან ქვესტრატეგიის - “გადატანილი ნეგატიური იდენტობა” (ან „ნეგატიური იდენტობის გადატანა“ გამოყენებით ჯგუფის შიგნით და ჯგუფებს შორის ურთიერთობები იხსნება რელასიტიური კონფლიქტის (Sherif, 1966) და სოციალური იდენტობის (Tajfel and Turner, 1986) თეორიით.

მადლობა

ეს კვლევითი პროექტი არ იქნებოდა შესაძლებელი მენტორების, კოლეგების, მონაწილეების, მეგობრებისა და ოჯახის მხარდაჭერის გარეშე. ნაშრომი წარმოადგენს program- Post-Doctoral Fellowship FMSH – South Caucasus-France (Fondation Maison des Sciences de l'Homme“) პროგრამის პოსტდოკ სტიპენდიის დროს ჩატარებულ კვლევას, რომელიც შედგა 2016 წელს საფრანგეთში, პუატიეს უნივერსიტეტის ლაბორატორია მიგრინტერში, MIGRINTER- მიგრაციის, სივრცისა და საზოგადოება პოეტიკის უნივერსიტეტში. მადლობელი ვარ მათი მუდმივი მხარდაჭერისათვის, მინდა მადლობა გადავუხადო Martine Brouillette მისი დახმარებისათვის, ასევე მორალური მხარდაჭერისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Harzig, C., & Hoerder, D. (2009). *What is migration history?* Cambridge: Polity Press.
2. Castles, S., & Miller, M. J. (2009). *The age of migration: International population movements in the Modern World* (4th ed.). Basingstoke: Palgrave Macmillan.
3. Giugni, M., & Passy, F. (Eds.). (2006). *Dialogues on migration policy*. Maryland: Lexington Books.
4. Bekerman, Z.; Geisen T. (eds.), (2012) *International Handbook of Migration, 19 Minorities and Education*, DOI 10.1007/978-94-007-1466-3_3, © Springer Science Business Media B.V. 2012
5. Wihtol de Wenden, C. (2003) Multiculturalism in France. *International Journal on Multicultural Societies (IJMS)*, Vol. 5, No. 1, 2003: 77 – 87. www.unesco.org/shs/ijms/vol5/issue1/art
6. Downing, J. (2013) *“Multiculturalism is not dead in France? Convergence in multiculturalism in Lyon and Marseille”* Future of the Multi-Ethnic City, University of Manchester, May 2013.
7. Fuga, A. (2008) Multiculturalism in France: Evolutions and Challenges Euro sphere Online Working Paper Series. Working Paper No.12 This version: December 2008 Webpage: <http://www.eurosphere.uib.no/knowledgebase/workingpapers.htm>
8. Van Oudenhoven, J. P., Ward, C., & Masgoret, A.-M. (2006). Patterns of relations between immigrants and host societies. *International Journal of Intercultural Relations*, 30(6), 637–651. <https://doi.org/10.1016/j.ijintrel.2006.09.001>
9. Sam, D. L., and Berry J. W. (2006). *The Cambridge Handbook of Acculturation Psychology*. Cambridge University Press, 2006
10. Berry, J. W. (2001) “A Psychology of Immigration.” *Journal of Social Issues* 57, no. 3 (January 1, 2001): 615–31.
11. Sammut, G. (2010). Points of View and the reconciliation of identity oppositions: examples from the Maltese in Britain. *Papers on Social Representations*, 19(1), 9.1-9.22.
12. Padilla, B. (2004 (b)). Redes sociales de los Brasileños recién llegados a Portugal: ¿solidariedad étnica o empatía étnica? Delivered at the International Conference on Latinos al descubrimiento de Europe: uevas emigraciones y espacios para la ciudadanía, Genova, 17-18 June.
13. Tajfel, H. (1974). „Social Identity and Intergroup Behaviour. “*Social Science Information* (1974): 65–93.

14. Tajfel, H., Turner, JC (1986). The Social Identity Theory of intergroup behavior. In S. Worchel and WG Austin (Eds.), *Psychology of intergroup relationships*. Chicago: Nelson Hall.
15. Barth, F. (1969). *Ethnic Groups and Boundaries. The Social Organization of Culture Difference*. Oslo: Universitetsforlaget, (Reissued 1998 by Waveland Press, Inc.)
16. Camilleri, C., & Malewska-Peyre, H. (1980). Socialization and Identity Strategies. In J.W. Berry, P.R. Dasen, & T.S. Saraswathi (Eds.), *Basic Processes and Human Development. Handbook of Cross-Cultural Psychology, Vol. 2 (2nd ed)*, pp. 41-67. Needham Heights, MA: Allyn & Bacon.
17. Kim, B., Yang, P. H., Atkinson, D. R., Wolfe, M. M., & Hong. S. (2001). Cultural value similarities and differences among Asian American ethnic groups. *Cultural Diversity and Ethnic Minority Psychology, 7*(4), 343-361.
18. Creswell, J. W. (2009). *Research design: Qualitative, quantitative and mixed methods approaches*. (3th ed.). Thousand Oaks, Calif: Sage Publications.
19. Cooley, Ch. H. (1902) *Human Nature and the Social Order*. New York: Scribner's, 1902. Confer pp. 183–184 for first use of the term "looking glass self".
20. Cooley, Ch. H. (1998.) *On Self and Social Organization*. University of Chicago Press. 1 edition.
21. Anderson, B. 1(991). *Imagined Communities*. London. UK: Verso.
22. Pirtskhalava, E. (2017). The Perceptions and Attitudes of Georgian Migrants in Portugal *Universal Journal of Psychology 5*(6): 262-271, HRPUB.
23. Sherif, M. (1966). *Group conflict and co-operation: Their social psychology*. London: Routledge & Kegan Paul.

Article received 2021-03-06